ვერიკო მჭედლიშვილი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

აჯოუს უნივერსიტეტი, სამხრეთ კორეა

,,როდესაც პირველად დავიწყე ინფორმაციის მოძიება სტუდენტურ გაცვლით პროგრამებზე, ჩემი მიზანი იყო არამხოლოდ სწავლა, არამედ საკუთარი თავის გამოწვევების წინაშე დაყენება, კომფორტის ზონიდან გამოსვლა და სამყაროს უკეთესად გაცნობა.

სამხრეთ კორეის ნახვის სურვილი ყოველთვის მქონდა და შესაბამისად, ამ ქვეყანაში სწავლა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი გახდა. ვფიქრობ, რომ აჯოუს უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ჩემი ცხოვრების საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

ყველაზე დიდი გამოწვევა ქვეყნის დატოვება და დიდი ხნით სრულიად უცხო გარემოში მარტო ცხოვრება აღმოჩნდა, თუმცა ოჯახის და უნივერსიტეტის მხარდაჭერამ გადამადგმევინა ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

გავიცანი და დავუახლოვდი უამრავ ადამიანს, შევიძინე მეგობრები, რომლებიც ერთი სემესტრის განმავლობაში ჩემს გვერდით იყვნენ ყოველ დღე, როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად. აქედან გამომდინარე, უცხო გარემოსთან ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან უამრავი ადამიანი მეხმარებოდა.

სასწავლო პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. კორეელი სტუდენტები მაქსიმალურად გეხმარებიან ადაპტაციის პროცესში.

სხვადასხვა საუნივერსიტეტო კლუბში გაწევრიანებით გაქვს შესაძლებლობა გაეცნო კულტურას, შეიძინო მეგობრები და მათთან ერთად გაატარო საუკეთესო დრო. პირველ კურსზე ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამდი, რადგან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა შეუძლებელი მეგონა, თუმცა ახლა უკვე ვხვდები რომ თავდაუზოგავი შრომა და მიზანდასახულობა ყველა ოცნებას რეალობად აქცევს.''